

ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№1 (80) იანვარი-მარტი 2017 წელი

ღირსი დედა მარიამ მეგვიპტელი

დიმიტრი გულია და მისი თანამედროვე ათსაზი პოეტები

ნოტჩოლის ზიარება დიდ ხელოვნებასთან

პირველად საქართველოში

ახლახანს, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა, თავისებური ნობათი მიუძღვნა არა მხოლოდ დევნილ მოსახლეობას, არამედ სრულიად საქართველოს მკვიდრთ -შეკრიბა და გამოსცა პუბლიკაციათა კრებული, რომელიც მიუძღვნა ცენტრის დაარსების მეათე წლისთავს. ნუ იფიქრებთ, თითქოს რეცენზიით ვეხმიანები ამ შესანიშნავ გამოცემას (ეს სამომავლო საქმეა); ამჯერად ერთ, ჩემთვის მნიშვნელოვან მხატვრულ მიგნებაზე გავამახვილებ ყურადღებას - თავებად დაყოფილი თითოეული მონაკვეთი გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებით გაამთლიანა!...

ალბათ, კითხვა გაგიჩნდებათ, თუ რატომ დავუკავშირე ეს პიკანტური ეპიზოდი წინამდებარე წერილს? როდესაც შევიტყვე, რომ საქართველოში საფუძველი ეყრება მსოფლიო სინამდვილეში დიდი ხნის დამკვიდრებულ პრაქტიკას - სახვითი ხელოვნების დარგში სხვადასხვა სახის აუქციონების გამართვას, დიდად გავიხარე. ჩემი სიხარული გაორკეცა იმ გარემოებამაც, რომ ამ საშური საქმის სულისჩამდგმელებად მოგვევლინნენ საქართველოს თვალმარგალიტის, ძირძველი აფხაზეთის მკვიდრნი ამირან კუპრავა და დავით ბაძაღუა. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ძალაუნებურად ამოტივტივდა რუსთაველისეული კიდევ ერთი სიბრძნე: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა„

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ დღეს აფხაზეთი სულიერად შეჭირვებულია, თითქმის სამი ათეული წელია, მონატრების გულში ჩაგუბებული ვარამი გაუნელებლად ღვივის, მაგრამ წამითაც არ აყრევინებს ფარ-ხმალს, სწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მრავალჭირგამოვლილი საქართველო გამთლიანდება. სწორედ ასეთი სულისკვეთების ამოფრქვევაა ამ ორი ჩინებული ხელოვანის ფასდაუდებელი წამოწყება - საქართველოს მსოფლიო ცივილიზაციის ორგანულ ნაწილად გადაქცევა.

წამოწყება წამოწყებად დარჩებოდა, რომ არა სრული მხარდაჭერა აფხაზეთის მთავრობისაგან, განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხრიდან, გაიაზრეს რა ჩაფიქრებული პროექტის სამომავლო პერსპექტივები, სამინისტროს შენობის ნაწილი დაუთმეს ორი მხატვრის (ამირან კუპრავასა და დავით ბაძაღუას) სახელოსნოს („2 ART“). მათი და აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის ორგანიზებით, პირველად საქართველოში, 24, 25, 26 მარტს გაიმართება „არტ-ფესტივალი 2017“. ფესტივალის მიზანი და ამოცანები გლობალურია - გააერთიანოს ყველა თაობის მხატვარი, რომელთაც ექნებათ არჩევანის სრული თავისუფლება. ფესტივალი გამორჩეულია ჟანრულ-თემატური მრავალფეროვნებითაც: წარმოდგენილი იქნება როგორც ქანდაკება, ასევე 100-მდე მხატვრის ფერწერული, გრაფიკული და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული ცალკეული ნიმუშები.

ფესტივალის მიმდინარეობა საზეიმო ელფერს შეიძენს - მოწვეულთა შორის იქნებიან არა მხოლოდ დარგის სპეციალისტები,მწერლები, კრიტიკოსები, გალერისტები, არამედ ხელოვნების მოყვარულები; აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის და მასმედიის წარმომადგენლები.

ფესტივალის მონაწილეთა შორის ბევრი ცნობილი მხატვარი იქნება: გოგი ლაზარიშვილი, ლადო თევდორაძე, მამუკა ცეცხლაძე, ნუგზარ დუმბაძე... მათ გვერდით ახალგაზრდათა შემოქმედებას გავეცნობით. ბევრი, ალბათ, დებიუტანტიც იქნება, რაც განსაკუთრებით აღვივებს ინტერესს. მხატვრებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომელი ლეილა ბაღბაია.

ჩვენთან საუბრისას ამირან კუპრავამ აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მხატვრებს მისეული ხედვა, გამოსახვის ორიგინალური მანერა გამოარჩევთ. ფესტივალის მიზანი სწორედაც რომ აღმოსაჩენის აღმოჩენაა. უნდა დავეთანხმოთ! ოდნავი გულისტკივილით ისიც აღნიშნა, რომ მხატვრები, რატომღაც, ერთმანეთს გაურბიან. მჯერა, რომ ეს ფესტივალი ჩვენი შეკავშირების, შედუღაბების საწინდარი გახდებაო. ღმერთმა უსმინოს!

ამირან კუპრავა ოცი წლის მანძილზე გერმანიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საიდანაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით აწყობდა გამოფენებს. იგი ახლახანს დაბრუნდა საქართველოში და, როგორც ვხედავთ, გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში ჩაერთო.

დავით ბაძაღუამ 15 წლის მანძილზე ნიჭიერი ფერმწერის სახელი დაიმკვიდრა. 2002 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი, მაგრამ ერთი დღეც არ უმუშავია თავისი სპეციალობით - ფერწერას გაჰყვა და წარმატებებსაც მალე მიაღწია. განსაკუთრებით იზიდავს აბსტრაქციის სფეროში ძიებანი, მიიჩნევს, რომ მონაცემების სრულყოფილად გამოვლენას ამ მიმარეთულებით შეძლებს.

ფესტივალის ერთ-ერთი მამოძრავებელი იდეა საქველმოქმედო მიზნითაა ნასაზრდოები - სახვითი ხელოვნების მოყვარულ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცეს ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს მისთვის სასურველი ნაწარმოები. ამას გარდა, ფესტივალზე შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდება აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრთან არსებული ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეის განვითარებას.

როდესაც ორი პროფესიონალი მხატვარი სათავეში ჩაუდგება ასეთ საშვილიშვილო საქმეს, შეუძლებელია შედეგმა დააყოვნოს. პირველი ნაბიჯები მრავლისმეტყველია და სამომავლო ჰორიზონტიც იმედით გვავსებს.

ვაჟა ძიგუა

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ნორჩების ზიარება დიდ ხელოვნებასთან

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი კარგა ხანია ცდილობს გააცნოს საზოგადოებას ნიჭიერი ახალგაზრდები.

გამონაკლისი არც 2016 წლის 25 დეკემბერი იყო. ცენტრმა სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები მოიწვია საკონცერტო პროგრამით, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ კომპოზიტორ, სახალხო არტისტ, სახელმწიფო პრემიების მფლობელ და ღირსების ორდენის კავალერ გია ყანჩელის მუსიკის გაცოცხლებას.

საღამოსადმი ინტერესი გააძლიერა იმანაც, რომ ახალგაზრდების მოსასმენად ცენტრის ინიციატივით მოწვეული იქნა კომპოზიტორის მეგობარი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ავტორი ისეთი ცნობილი ფილმებისა, როგორებიცაა: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ და სხვ. რეჟისორი ელდარ შენგელაია.

დასაწყისში სიტყვით გამოვიდა და საკუთარი მოსწავლეები წარადგინა სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგმა მაია ცაავამ. მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად სასარგებლო და საპასუხისმგებლოა მოსწავლეებისთვის თანამედროვე კომპოზიტორის ნაწარმოებების შესრულება. მოსწავლეების წარდგენის შემდეგ დამწყები პიანისტები და მომღერლები აუდიტორიას უმტკიცებდნენ, რომ პროფესიონალური შესრულებისათვის ასაკი არ არის განმსაზღვრელი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნინო და ვერიკო გერგაულები და ლაზარე ოტიაშვილი.

საღამოზე ჟღერდა მელოდიები საყოველთაოდ ცნობილი ფილმებიდან: „ცისფერი მთები“, „მიმინო“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „დონ კიხოტი“, „კინ-ძა-ძა“, ასევე სპექტაკლებიდან: „როლი დამწყები მსახიობისთვის“, „მეთორმეტე ღამე“, „კავკასიური ცარცის წრე“, „მზიანი ღამე“, „გოდოს მოლოდინში“, „ხანუმა“, „ჰამლეტი“ და სხვ. ნათია გულუამ, ნინო სანაიამ, ლაზარე ოტიაშვილმა, ლილე ღვინჯილიამ, ვერიკო და ნინო გერგაულებმა გაახსენეს დამსწრე საზოგადოებას ჰანგები, რომლებიც დღიდან მათი პირველი გაჟღერებისა სამუდამოდ აღიბეჭდა მაყურებელთა გულებში. პატარა მუსიკოსების დაკვრას თან ერთვოდა შესაბამისი კადრები ფილმებიდან და სპექტაკლებიდან.

შესრულებული მუსიკალური ნომრისა და ფილმის ფრაგმენტთან ერთად მიღებულ შთაბეჭდილებას გვიძლიერებდა მაყურებლის წინ, განცალკევებით, ყველას დასანახად მჯდარ ბატონი ელდარ შენგელაიას ემოციები. „ყოველი მელოდიის მოსმენისას, - განაცხადა მან კონცერტის შემდეგ, - მახსენდებოდა კადრები ფილმებიდან და თავად გადაღების პროცესი, სასიამოვნო შემოქმედებითი ურთიერთობა კომპოზიტორთან, რომელიც ფილმზე მუშაობის დროს გამიჩნდა და რომელიც შემდეგ მეგობრობაში გადაიზარდა. ნასიამოვნები ვარ გია ყანჩელის შემოქმედებასთან კიდევ ერთხელ შეხვედრით ნორჩ მუსიკოსებთან ერთად“.

კონცერტის მოსმენით კმაყოფილება ვერც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა დამალა: „ყოველთვის სასიამოვნოა კარგი მუსიკის მოსმენა, მაგრამ ის ორმაგად სასიამოვნო ხდება მაშინ, როდესაც დიდი ღირებულებების ქმნილების დაუფლებას ასეთი მცირეწლოვანი ცდილობს“.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ დადებითად შეაფასა ნორჩების გამოსვლა. მან, კერძოდ, აღნიშნა: „სწორედ ნორჩი თაობა აძლევს საზოგადოებას მომავლის რწმენასა და იმედს. გვჯერა, რომ ისინი კიდევ უფრო ბეჯითად ისწავლიან, უფრო თამამად იტყვიან თავიანთ სათქმელს და შორს გაუთქვამენ სახელს ჩვენს საყვარელ ქვეყანას.„

„ჩვენი პედაგოგიური კოლექტივისთვის პრიორიტეტულია მოსწავლეების აღზრდაზე ზრუნვა, მათთვის მუსიკალური განათლების მიცემასთან ერთად წარმატებულ ადამიანებად ჩამოყალიბება. მათგან მოვითხოვთ მხოლოდ მეტ მონდომებას, რაც მათ ნიჭის სრულად გამოვლენის საშუალებას მისცემს“, - განაცხადა სამადლობელ სიტყვაში სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორმა დავით ოკუჯავამ.

დავით ოკუჯავა
„საქართველოს უნივერსიტეტის“ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

დიმიტრი გულია და მისი თანამედროვე აფხაზი პოეტები

გამოჩენილ აფხაზ მწერალ, საზოგადო მოღვაწე, აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელ დიმიტრი გულიას დაბადების დღეს, 21 თებერვალს, ამჯერად აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მიუძღვნა საღამო „დიმიტრი გულია და მისი თანამედროვე აფხაზი პოეტები“.

დიმიტრი გულიამ დიდი ღვაწლი დასდო აფხაზურ კულტურას. მისი კულტურულ-საგანმანათლებლო სამწერლო მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივი იყო, ისევე, როგორც მის პატივსაცემად გამართული საღამო. საღამო სვეტლანა ქეცბას სიტყვით გაიხსნა. მასში მონაწილეობა მიიღეს შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი დათვალიერება-კონკურსის „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“ ლაურეატებმა. მოსწავლეებმა ააჟღერეს არა მარტო დიმიტრი გულიას, არამედ ცნობილი აფხაზი ავტორების: შალვა წვიჟბას, ბაგრატ შინკუბას, ალექსი ჯონუას, ივანე თარბას, კონსტანტინე გერხელიას ლექსები, თარგმნილი თედო ბექიშილის, რევაზ მარგიანის, სიმონ ჩიქოვანის, თამაზ ბაძაღუას, შოთა აკობიას, თეიმურაზ ჯანგულაშვილის მიერ. საღამო მუსიკალურად გააფორმა სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელთან არსებულმა ანსამბლმა „დიოსკურიამ“. შესრულდა სიმღერა „გუდისა“, პოპური ქართული ხალხური საკრავებისთვის, „მეგრული სატრფიალო“ და „სიმღერა კლდეზე“. საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი ირმა ოსია, რომელმაც აფხაზურ ენაზე წაიკითხა საქართველოსადმი მიძღვნილი აფხაზი პოეტების

ლექსები. აკადემიკოსმა ოთარ ჟორდანიამ შემაჯამებელ სიტყვაში დიმიტრი გულიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე უცნობი ეპიზოდები და დეტალები ააჟღერა და მიმოიხილა ამ თარიღისადმი მიძღვნილი თბილისში ჩატარებული წინა ღონისძიებების თემატიკის მრავალფეროვნება და დიდი მნიშვნელობა აფხაზური კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ცენტრის თანამშრომლებსა და მოწვეულ საზოგადოებას შორის იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის არც ერთ წამოწყებას.

21 თებერვლის საღამო ერთ-ერთია იმ უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის, რომლებიც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში იმართება. სვეტლანა ქეცბას და მისი გუნდის წყალობით საქართველოში ხდება აფხაზეთის კულტურის პოპულარიზაცია, რომელიც ხელს უწყობს მოძმე ერების კულტურული ღირებულებების გახსენებას და ახალგაზრდა თაობისთვის გაცნობას.

ირმა კინწურაშვილი

სიკეთისა და სიყვარულის ატმოსფერო

7 მარტს, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში საოცრად თბილი გარემო დამხვდა. ჩემდა სამარცხვინოდ, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ცენტრის კოლექტივთან და „მის დიასახლის“ ქალბატონ სვეტლანა ქეცბასთან, ფაქიზ ქალბატონთან, რომელიც მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევს ირგვლივ.

აფხაზეთი - ყველა ჩვენგანის სიყვარული, გულისტკივილი, დარდი. ეს გრძნობა თან სდევდა საზეიმო საღამოს, სადაც თავი მოიყარა აფხაზეთის ცნობილი და ღვაწლმოსილი ქალბატონების კრებულმა. შეხვედრაზე ურთიერთპატივისცემა იგრძნობოდა და მას ემოციების გარეშე არ ჩაუვლია.

სვეტლანა ქეცბა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გულწრფელად მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი - დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეები.

აფხაზეთში დაბრუნების დიდი იმედის მომცემი იყო საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) გამოსვლა, იმედისა, რომელიც, აგერ უკვე 25 წელია, ოცნებად რჩება დევნილი მოსახლეობისათვის. დალოცვასთან ერთად მან ქალბატონებს უსურვა წარმატებები როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეხვედრის საზეიმო და ამაღლებული განწყობილება ბევრად განსაზღვრა ახალციხის ფოლკლორულმა ანსამბლმა „მესხეთმა“ ზაზა თამარაშვილის ხელმძღვანელობით. ისინი სპეციალურად ჩამოვიდნენ ახალციხიდან, რომ აფხაზეთელი ქალბატონებისათვის მიელოცათ ეს დღესასწაული. დასაწყისში დარბაზი მესხური „მრავალჟამიერის“ ჰანგებით აავსეს. ქალბატონები მადლიერების ნიშნად მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ მათ მიერ ნამღერ სხვა სიმღერებსაც, კერძოდ, აფხაზურ „ვარადოს“, მეგრულ სიმღერასა თუ „მესხურ საფერხულოს“.

ახალგაზრდა კომპოზიტორ ლალი საბანაძის სახელი კარგად იყო ცნობილი დარბაზში მყოფთათვის. ლალი სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხშირი სტუმარია. პირველად სწორედ ცენტრში აჟღერდა მის მიერ შექმნილი ახალი ნაწარმოებები. ამჯერადაც ახალგაზრდა კომპოზიტორი პრემიერით „სიმღერა გაგრაზე“ წარსდგა მაყურებლის წინაშე. სიმღერა კომპოზიტორის თანხლებით შეასრულა ასევე აფხაზეთიდან დევნილმა მომღერალმა მზია ჭილაძემ. სიმღერის პრემიერას ემოციის გარეშე არ ჩაუვლია. დარბაზში მყოფთა უმრავლესობას თვალზე ცრემლი მოადგა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც სიმღერამ მსმენელები ტკბილად გასახსენებელ წარსულში დააბრუნა.

შინაარსიანი და ქალისადმი დიდი პატივისცემით იყო გაჯერებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავას სიტყვა. მან ქალბატონებს მიულოცა დღესასწაული და უსურვა ბედნიერი მომავალი.

ასევე თბილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ ჯონი აფაქიძის გამოსვლა.

ახალგაზრდა პოეტმა გიორგი ბალახაშვილმა ქალბატონებს თავისი შემოქმედებიდან წაუკითხა ლექსები.

და, აი, ზეიმის კიდევ ერთი მონაწილე - ეს გახლდათ სოხუმელებისათვის კარგად ნაცნობი მევიოლინე ვაჟა ჩუბინიძე, რომელსაც ამჟამად პარტნიორობას უწევდა პიანისტი თინათინ ონაშვილი. „ვაჟა ჩუბინიძე, წარსულში აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერი, გმირია“, - ასე წარუდგინა მევიოლინე ქალბატონმა სვეტლანამ დამსწრე აუდიტორიას. მან გაიხსენა ის ავბედითი დღეები, როდესაც სოხუმი იბომბებოდა, ბატონი ვაჟა კი ცდილობდა გადაერჩინა საორკესტრო საკრავები. ზრუნავდა, რომ უვნებლად გამოეტანა საკონცერტო დარბაზიდან ისინი იმ იმედით, რომ მომავალში კვლავ გაიმართებოდა კონცერტები, კვლავ გაივსებოდა საკონცერტო დარბაზები. ვაჟა ჩუბინიძემ შეასრულა პოპური ქართულ მელოდიებზე, რამაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფოლკლორულ ანსამბლ „მესხეთის“ სიმღერა უშურველად გაისმოდა კონცერტის შემდეგაც სტუმართა მიღებაზე.

დასასრულს მინდა მადლობა გადავუხადო ამ საღამოს თითოეულ მონაწილეს, ვინც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოწვეული ქალბატონებისათვის შეექმნა ამაღლებული განწყობა.

დიდი მადლობა ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, ცენტრის ღონისძიებების ავტორსა და სულისჩამდგმელს, აგრეთვე, მის გუნდს, ასეთი პასუხისმგებლობით რომ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას.

გმადლობთ საღამოსათვის, რომელმაც ეს ორგანიზაცია გამაცნო (ჩემდა სამწუხაროდ, ასე დაგვიანებით, 10 წლის დაგვიანების შემდეგ), მადლიერების გრძნობით ამავსო და მომავალში აფხაზეთში დაბრუნების რწმენა ჩამისახა.

ეკიმი ქეთევან ანჯაფარიძე

ღირსი ღედა ძალიან მეოცნებეთა (+522)

1 (14) აპრილი, დიდმარხვის მე-5 კვირა

პალესტინის ერთ-ერთ მონასტერში, კესარიის მახლობლად, ცხოვრობდა ღირსი ზოსიმე. სიყრმიდან მონასტერში გაზრდილი ბერი სავანეში 53 წლამდე მოღვაწეობდა. ერთხელ მას გონებაში გაუელვა ფიქრმა: „ნეტავ მოიძებნება უშორეს უდაბნოში ღვთივსულიერი კაცი, ჩემზე აღმატებული მღვიძარებასა და ღვაწლში?“

როგორც კი ფიქრი დაასრულა, ღირს მამას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: „შენი ღვაწლი სათნოა უფლისათვის, მაგრამ „არავინ არს მართალ არცაღა ვართ“ (რომ. 3,10). ქვეყნად ცხონების უმჯობესი გზებიც არსებობს. გამოდი შენი სავანიდან, ვითარცა აბრაამ სახლითგან მამისა თვისისა (შეს. 12,1) და წადი იორდანეს მონასტერში“.

აბბა ზოსიმემ დატოვა თავისი სამყოფელი და იორდანეს მონასტერში მივიდა. აქ მან ნახა საოცარ ღვაწლში მყოფი უდიდესი ასკეტი მამები და მათთან დარჩა სამოღვაწეოდ.

გავიდა დრო. დადგა დიდი მარხვა. მონასტერში არსებული ტრადიციის მიხედვით, დიდმარხვის პირველი კვირიაკეს საღმრთო ლიტურღიაზე ყველანი ეზიარებოდნენ. ლოცვისა და მეტანიების შემდეგ ბერები ერთმანეთს შენდობას სთხოვდნენ, იღუმენისაგან კურთხევას იღებდნენ და ფსალმუნის გალობით - „უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდეს? უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევძრწუნდე?“ (ფს. 26,1), უდაბნოში გადიოდნენ.

ზოგ ბერს თან მიჰქონდა მცირედი საზრდელი, ზოგი კი მხოლოდ ბალახით იკვებებოდა. ისინი იორდანეს გაღმა გადიოდნენ, ერთმანეთს შორდებოდნენ და ბზობის დღესასწაულზე ბრუნდებოდნენ მონასტერში.

იმ წელს აბბა ზოსიმეც წავიდა უდაბნოში.

ერთხელ, როცა უდაბნოში გატარებული ოცი დღის შემდეგ ღირსი ზოსიმე მეექვსე ჟამის ფსალმუნებს და ლოცვებს გალობდა, მოეჩვენა, რომ მარჯვნივ ადამიანის ჩრდილი გაკრთა. ღირსი მამა შეძრწუნდა, იფიქრა, ეშმაკეული ჩვენება ვიხილეო, პირჯვარი გადაისახა, შიში უკუაგდო, ლოცვის დამთავრების შემდეგ კი იქითკენ გაიხედა და დაინახა უდაბნოში მიმავალი შიშველი ადამიანი, რომელსაც მზისგან სხეული გაშავებოდა და მოკლე, გახუნებული თმები კრავის მატყლივით გათეთრებოდა. აბბა ზოსიმემ გაიხარა ცოცხალი არსების ხილვით და მისკენ გაეშურა.

როგორც კი შიშველმა მეუდაბნოემ მისკენ მიმავალი ზოსიმე დაინახა, სირბილით სცადა გარიდებოდა ღირს მამას. ზოსიმემაც უძლურება და დაღლილობა დაივიწყა და დაედევნა, უნდოდა ახლოს ენახა ის საოცარი განდეგილი. ბოლოს ღონემიხდილი დამშრალ წყაროსთან გაჩერდა და ცრემლებით შეევედრა მეუდაბნოეს: „რად გაურბიხარ უდაბნოში საცხონებლად მოსულ ცოდვილ ბერს? დამელოდე უძლურს და უღირსს, დამლოცე და მაკურთხე“.

უცნობმა უკანმოუხედავად დაუძახა: „მომიტევე, მამაო ზოსიმე, არ ძალმიძს მოგიახლოვდე,მე ქალი ვარ და არა მაქვს სამოსელი, რათა ხორციელი სიშიშვლე დავიფარო. თუ გსურს ილოცო უდიდესი ცოდვილისთვის, მიბოძე შენი სამოსელი, რომ შევძლო მოგიახლოვდე და კურთხევა გთხოვო“.

„სიწმიდისა და ფიცხელი ღვაწლის გამო უფალს სულიერი ჭვრეტის მადლით დაუჯილდოვებია, ალბათ ამიტომ იცის ჩემი სახელი“ - გაიფიქრა აბბა ზოსიმემ და ანაფორა გადაუგდო.

შემოსილი ქალი ღირს მამას მიუახლოვდა: „რამ გაფიქრებინათ, მამაო, დამლაპარაკებოდით მე, ცოდვილ და უგუნურ ქალს? რა უნდა ისწავლოთ ჩემგან, რად დახარჯეთ ამდენი ძალა?“

ღირსმა ზოსიმემ მუხლი მოიდრიკა და კურთხევა სთხოვა მეუდაბნოეს. ისიც მუხლებზე დაეცა. დიდხანს სთხოვდნენ ერთმანეთს კურთხევას. ბოლოს მეუდაბნოემ უთხრა: „აბბა ზოსიმე, შენ გმართებს კურთხევა და ლოცვის აღვლენა, რამეთუ ღირს იქმენ მოძღვრის ხარისხისა და მრავალი წელი ქრისტეს ტრაპეზთან მდგარი სწირავდი უფალს წმიდა ძღვენს“.

ამ სიტყვებმა უფრო შეაშინეს ღირსი ზოსიმე: „სულიერო დედაო, ცხადია, შენ უფრო მიახლებიხარ უფალს და მომკვდარხარ სოფლისათვის, რადგან სრულიად უცნობს სახელით მომმართე და მოძღვარი მინოდე, მაკურთხე, ღვთის გულისათვის“.

ბოლოს ღირსმა დედამ წარმოთქვა: „გაკურთხოს უფალმან, მაცხოვნებელმან ყოვლისა სოფლისამან“. აბბა ზოსიმემ მიუგო: „ამინ“ და ორივენი წამოიმართნენ. მეუდაბნოემ კვლავ მიმართა ზოსიმეს: „რისთვის მოხვედ, მამაო, ჩემგვარ ცოდვილთან? როგორც ჩანს, სულიწმიდის მადლმა მოგიყვანა, რომ ჩემი სულისთვის საჭირო სამსახური გასწიო. მაუწყე, მამაო, როგორ ცხოვრობენ ქრისტიანები, როგორ იზრდება ღვთის წმიდა ეკლესია?“

აბბა ზოსიმემ უპასუხა: „თქვენი წმიდა ლოცვებით უფალმა მომადლა მშვიდობა ეკლესიას და მთელს ქვეყანას. ყურადღე უღირსი ბერის ვედრება, დედაო, ილოცე ქვეყნისთვის და ჩემთვის, ცოდვილისთვის, რათა ფუჭი არ მექნეს უდაბნოში მწირობა“.

წმიდა მეუდაბნოემ უპასუხა: „უფალს სათნო ეყოფა, აბბა ზოსიმე, შენი ლოცვა ჩემთვის და სხვებისთვისაც, რამეთუ ხელდასხმის მადლი გაქვს. მე კი მორჩილებით აღვასრულებ შენს სურვილს და ვილოცებ წმიდა გულით“.

მეუდაბნოემ აღმოსავლეთით იბრუნა პირი, თვალები და ხელები ზეცისკენ აღაპყრო და ლოცვად დადგა. ბერმა დაინახა, რომ ლოცვისას ღირსი დედა ჰაერში აიწია. სასწაულებრივი ხილვით შეძრწუნებული ზოსიმე პირქვე დაემხო.

ზოსიმეს გონებაში კვლავ გაკრთა ფიქრი: „ბოროტი ხომ არ მაცდუნებს?“ მაშინ ღირსმა დედამ ის წამოაყენა და უთხრა: „რატომ შეცბუნდი, მამაო, მე მოჩვენება კი არა, ერთი ცოდვილი, უღირსი დედაკაცი ვარ“, შემდგომ კი პირჯვარი გადაისახა. ამის შემყურე და გამგონე ცრემლმორეული ზოსიმე ფერხთით ჩაუვარდა მეუდაბნოეს: „გევედრები, ღვთის გულისათვის, არ დამიმალო შენი ამბავი, მაუწყე, რათა სხვებისთვისაც ნათელი გახდეს ღვთის განგებულების სიდიდე. უფალმა იმისთვის გამომგზავნა უდაბნოში, რათა გაცხადდეს დაფარული“.

მეუდაბნოემ უთხრა: „მიმძიმს, მამაო, გაუწყო ჩემი უსირცხვილო საქმეები, რადგან გამერიდები, როგორც ასპიტს. მაგრამ მაინც მოგითხრობ ყოველივეს, შენ კი ლოცვა ჰყავ ჩემ ცოდვილისთვის.

ეგვიპტეში დავიბადე და მშობლების სიცოცხლეშივე, თორმეტი წლისა, ალექსანდრიაში გავიქეცი. აქ დავემონე დაუოკებელ, გაუმაძღარ სიძვისას ვნებას. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ცოდვებში და ამ უღირს საქმეს ვიქმოდი უფასოდ. ფულზე იმიტომ კი არ ვამბობდი უარს, რომ მდიდარი ვიყავი, არა, სარჩო არ მქონდა, სიღატაკეში ვცხოვრობდი, ქსოვით ვირჩენდი თავს, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ცხოვრების არსი მხოლოდ ხორციელი ვნების დაკმაყოფილება იყო.

ერთხელ დავინახე უამრავი ხალხი, რომლებიც ლიბიიდან და ეგვიპტიდან იერუსალიმს მიემგზავრებოდა წმიდა ჯვართამაღლების დღესასწაულზე. მეც მომინდა მათთან ერთად წასვლა, მაგრამ დღესასწაულზე დასასწრებად კი არა, მამაო, ვიფიქრე, ალბათ იქ მეტ ადამიანს ვნახავ-მეთქი ცოდვით დაცემისათვის. ახლა მერწმუნეთ, მიკვირს, როგორ აიტანა ზღვამ ჩემი მრუშობა და ავხორცობა, როგორ არ ჩამიტანა მიწამ ჯოჯოხეთში, როგორ მაპატია ამდენი სულის ცდუნება და დაღუპვა, მაგრამ ჩანს, უფალს ჩემი სინანული უნდოდა და მოთმინებით ელოდებოდა ჩემს მოქცევას.

ჩავედი იერუსალიმში და დღესასწაულამდე ბილწ საქმეებს ვიქმოდი.

ჯვართამაღლებას მე, ჩვეულებრივ, ნორჩ სულთა წარსაწყმედად გამოვედი. ყველა ადრიანად წასულიყო ტაძარში, სადაც ცხოველსმყოფელი ჯვარი იყო დასვენებული. მეც იქით გავემართე და ეკლესიის კარიბჭესთან გავჩერდი. როდესაც წმიდა ჯვრის ამაღლების ჟამი დადგა, ტაძარში შესვლა მოვინ-

დომე, მაგრამ ღვთის უხილავმა ძალამ გამაჩერა და კარებიდან უკუმაქცია. სხვები დაუბრკოლებლივ შედიოდნენ კარიბჭეში. კვლავ შევეცადე შიგნით შემეღწია, მაგრამ - უშედეგოდ, რაღაც ძალა ისევ უკან მაგდებდა, ასე განმეორდა რამდენჯერმე, ბოლოს ძალა გამომელია, კარებს მოვშორდი და შორიახლოს კუთხეში გავჩერდი.

უცებ ვიგრძენი, რომ ტაძარში ჩემი ცოდვების გამო ვერ შევდიოდი. გული ღვთის მადლით ამევსო, ავტირდი და სინანულით მუშტი ჩავირტყი მკერდში. ჩემს წინ ღვთისმშობლის ხატი შევნიშნე და ლოცვით მივმართე: „ყოვლადწმიდაო ქალწულო, მშობელო სიტყვისა ღვთისაო, ვუწყი, რამეთუ უღირს ვარ ხილვად ხატისა შენისა; განგდებულ ვიქმენ შენი სიწმიდისაგან, მაგრამ განა ცოდვილთა სინანულად არ შეისხა ხორცი ღმერთმან ჩვენმან?! შემეწიე, ყოვლადწმიდაო, მომეც ნება ტაძარში შესვლისა და იმ ჯვრის ხილვისა, რომელზეც ჯვარცმულ-იქნა უფალი, მოსატევებელად ცოდვათა ჩვენთა, თვისი უცოდველი სისხლის დამთხეველი. მომეც ნება, თაყვანი-ვსცე წმიდა ჯვარს, მეოხ მეყავ წინაშე შობილისა შენისა. ამიერიდან აღარ შეურაცხვყოფ ჩემს სხეულს ხორციელ ვნებათაგან, ვიხილავ რა ყოვლადწმიდა ჯვარს ძისა შენისა, განვალ ამ სოფლისგან და წარვალ, საითკენაც მომიწოდებ“.

ლოცვის დამთავრებისთანავე ვიგრძენი, რომ ჩემი ლოცვა შესმენილ იქნა. ღვთისმშობლის მოწყალებას მინდობილი კვლავ კარისკენ გავემართე, დაუბრკოლებლად შევედი ტაძარში და უფლის ცხოველსმყოფელი ჯვრის ხილვის ღირსი შევიქენი.

ასე დავრწმუნდი ღვთის განგებულებასა და სახიერებაში. ქედი მოვიდრიკე, ვეამბორე სიწმიდეებს და მსწრაფლ გამოვედი ტაძრიდან. კვლავ დავიჩოქე ღვთისმშობლის ხატის წინ და ლოცვა აღვავლინე.

უცებ შორიდან შემომესმა ხმა: „თუ იორდანეს გადალახავ, ნეტარი აღსასრული მოგელის“. ვირწმუნე, რომ ეს ჩემს გასაგონად იყო ნათქვამი და ცრემლით შეევედრე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს: „მოწყალეო დედაო, ნუ დამიტევებ მე, არამედ შემეწიე“. ტაძრის ეზოდან გამოსულს ვიღაცამ სამი სპილენძის მონეტა მომცა. იმ ფულით სამი პური ვიყიდე და იორდანეს გზა გავიგე.

მზის ჩასვლისას იორდანეს ნაპირას მდებარე წმიდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას მივაღწიე. ტაძარში ლოცვის შემდეგ წმიდა მდინარის წყლით ხელ-პირი დავიბანე, ერთი პურის ნახევარი შევჭამე, წმიდა წყალი მივიღე და მიწაზე მივწექი დასაძინებლად. დილით პატარა ნავი ვიპოვე, იორდანეს მეორე ნაპირზე გადავედი და კვლავ ღვთისმშობელს შევთხოვე წინამძღვრობა. ასე მოვედი უდაბნოში“.

აბბა ზოსიმემ მეუდაბნოეს ჰკითხა: „რამდენი წელია, დედაო, რაც უდაბნოში ცხოვრობ?“ - „ალბათ ორმოცდაშვიდი წელი გავიდა, რაც წმიდა ქალაქიდან წამოვედი“.

ზოსიმემ კვლავ ჰკითხა: „რას ჭამ, რას პოულობ ამ უდაბნოში?“ - „როცა იორდანე გადმოვლახე, ორნახევარი პური მქონდა. თანდათანობით უდაბნოს მცხუნვარებამ გამოაშრო და გააქვავა. ასე რომ, მცირედს ვღებულობდი და მრავალი წლის მანძილზე მეყო“. - „მერწმუნე, აბბა ზოსიმე, - განაგრძო ღირსმა დედამ, - ჩვიდმეტი წელი ისე ვებრძოდი ბოროტ ფიქრებს, როგორც ცოფიან ნადირებს. მახსენდებოდა ხორცი და თევზი, რომელსაც ეგვიპტეში მივეჩვიე. ღვინოც მენატრებოდა: მე ხომ ძალზე ბევრს ვსვამდი, აქ კი ხშირად მწირი საჭმელ-სასმელიც არ მქონდა და წყურვილისა და შიმშილისაგან ვიტანჯებოდი. უფრო დიდი უბედურების გადატანაც მიხდებოდა: ხანდახან ავხორცული სიმღერის ჟინი მომივლიდა, თითქოს ჩამესმოდა კიდეც, გულს და სმენას მიფორიაქებდა. მაშინ ცრემლებით ვიგონებდი ღვთისმშობლისთვის მიცემულ აღთქმას და მხურვალედ ვლოცულობდი. როცა ჩემი ლოცვა სათნოეყოფოდა უფალს, ვხედავდი ბრწყინვალე ნათელს, ქარიშხლის ნაცვლად კი დიდებული მყუდროება ისადგურებდა.

როგორ აღვიარო, მამაო, წინაშე შენსა ავხორცული ფიქრები ჩემი? უცებ სიძვის ცეცხლი მომედებოდა გულზე, ყოველივეს მუსრავდა ჩემში და ვნებას მიღვიძებდა. მაშინ პირქვე დავემხობოდი. ასე დამხობილი ვიყავ დღე და ღამ, სანამ არ მოვიდოდა სინანული და არ გამოჩნდებოდა ბოროტი ფიქრებისა და ზრახვების განმაბნეველი ნათელი.

ასე ვცხოვრობდი პირველი ჩვიდმეტი წელი: ბნელი - ბნელზე, უბედურება უბედურებაზე მემატებოდა, მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხება მიფარავდა მარადის“.

აბბა ზოსიმემ კვლავ ჰკითხა: „ნუთუ არც საჭმელი დაგჭირდა, არც - სამოსელი?“

მეუდაბნოემ უპასუხა: ჩვიდმეტ წელიწადში პური დამიმთავრდა, ამის შემდეგ ფესვებით და ბალახებით ვიკვებებოდი. კაბა შემომეძარცვა, დიდხანს ვიტანჯებოდი ზაფხულის პაპანაქებასა და ზამთრის სიცივეში. რამდენჯერ მკვდარივით დავცემულვარ მიწაზე, რამდენჯერ მიბრძოლია ცდუნებასთან, უბედურებასთან, განსაცდელთან, იმ დღიდან დღემდე ღვთის ძალა უხილავად იცავდა და იცავს ჩემს ცოდვილ სულსა და ხორცს.

აბბა ზოსიმე გააკვირვა მეუდაბნოეს საღმრთო წერილში განსწავლულობამ და ჰკითხა: „სად ისწავლე, დედაო, წმიდა წერილი?“ მეუდაბნოემ გაიღიმა და უპასუხა: „მერწმუნე, რაც იორდანე გადმოვლახე, სულიერი არ მინახავს, წერა-კითხვაც არ ვიცი, საეკლესიო გალობაც არსად მომისმენია, მხოლოდ სიტყვა ღვთისა, ცხოველი და შემოქმედი, ასწავლის ადამიანს ყოველივეს (კოლ. 3,16; პტ. 1,21; 1 თეს. 2,13). მთელი ცხოვრება აღვიარე შენს წინაშე, მამაო, გევედრები, ილოცე ჩემ ცოდვილისთვის! კიდევ ერთს შეგთხოვ, აბბა, ნურავის მოუყვები ჩემს ამბავს, სანამ უფალი თავისთან არ მიმიხმობს. აღმისრულე, რასაც გეტყვი. მომავალ წელს, დიდმარხვას, უდაბნოში ნუ წახვალ, როგორც ამას მონაზვნური წესი გავალებს“. კვლავ გაუკვირდა ღირს ზოსიმეს, საიდან იცისო მონასტრის წესი?

მეუდაბნოემ გააგრძელა: „მამაო, მონასტერში დარჩი, თუმცა, რომც გინდოდეს, მაინც ვერ გახვალ. დიდ ხუთშაბათს, საიდუმლო სერობის ხსენების დღეს, მაცხოვრის ცხოველსმყოფელი ხორცი და სისხლი მომიტანე იორდანის ნაპირზე, რათა ვეზიარო. ახლა ჩემს შესახებ ნურაფერს მოუთხრობ, უფალი თვითონ გიჩვენებს დროს“.

მეუდაბნოემ ილოცა და უდაბნოს სიღრმეში გაუჩინარდა. მამა ზოსიმემ მთელი წელი მდუმარებაში გაატარა და უფალს ევედრებოდა, კიდევ ერთხელ შეეხვედრებინა წმიდა მოღვაწესთან.

როცა კვლავ დადგა წმიდა დიდმარხვის პირველი შვიდეული, ღირსი ზოსიმე ავადმყოფობის გამო მონასტერში დარჩა და გაახსენდა მეუდაბნოეს წინასწარმეტყველება. რამდენიმე დღის შემდეგ ის განიკურნა, მაგრამ ვნების კვირიაკემდე მონასტრიდან არ გასულა.

მოახლოვდა საიდუმლო სერობის ხსენების დღე. აბბა ზოსიმემ შეასრულა დაპირება: გვიან ღამით დატოვა მონასტერი და იორდანეს ნაპირას ჩამოჯდა მეუდაბნოეს მოლოდინში. ღირსი დედა იგვიანებდა. აბბა ზოსიმე უფალს ევედრებოდა, კვლავ გაეხადა მისი ხილვის ღირსი. ბოლოს ღირსი დედაც გამოჩნდა: ის იორდანეს მეორე ნაპირს მოადგა. ზოსიმემ ღმერთს მადლობა შესწირა, მაგრამ უეცრად მის გონებაში გაკრთა ფიქრი: „როგორ გადმოვა ნავის გარეშე მდინარეზე?“ მეუდაბნოემ კი ჯვარი გადასახა იორდანეს და წყალზე გაიარა. ბერმა მოინდომა თაყვანი ეცა მისთვის, მაგრამ ღირსმა დედამ შეაჩერა: „რასა იქმ, მამაო, შენ ხომ მღვდელი ხარ - ღვთის საიდუმლოთა მტვირთველი“, თან კურთხევა სთხოვა. საოცარი ხილვით გაოგნებულმა ბერმა წმიდანი დალოცა. შემდეგ, მისი თხოვნით, „მრწამსი“ და „მამაო ჩვენო“ წაიკითხა და ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს აზიარა. ზიარების შემდეგ მეუდაბნოემ ზეცისკენ აღაპყრო ხელი და ცრემლითა და სასოებით წარმოთქვა წმიდა სვიმეონ მიმრქმელის ლოცვა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილა თვალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი“. შემდეგ ბერს მიმართა: „მომიტევე, მამაო, და ერთი სურვილიც აღმისრულე: მომავალ წელს კვლავ მოდი იმ დამშრალ წყაროსთან, სადაც პირველად შევხვდით ერთმანეთს და ილოცე ჩემი ცოდვილი სულისთვის“. შემდეგ კვლავ ჯვარი გადასახა იორდანეს, გაიარა წყალზე და უდაბნოს წყვდიადში მიიმალა. აღტაცებული მამა ზოსიმე სულიერი ზეიმით დაბრუნდა მონასტერში.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი. აბბა ზოსიმე კვლავ წავიდა უდაბნოში და დამშრალ წყაროსთან გულზე ხელდაკრეფილი გარდაცვლილი მეუდაბნოე იხილა. აბბა ზოსიმემ მას ცრემლებით დაბანა ტერფები. ფსალმუნები უგალობა და შესვენებულთა ლოცვა წაუკითხა, ოღონდ ვერ გადაეწყვიტა, დაემარხა თუ არა. უცებ ნახა, რომ წმიდანის შუბლზე დაწერილი იყო: „მამაო ზოსიმე, აქ დამარხე ცოდვილი მარიამის ცხედარი. ევედრე უფალს ჩემი ცოდვილი სულისთვის აპრილის პირველ დღეს“.

აბბა ზოსიმე განცვიფრდა: მან იცოდა, რომ წმიდანმა წერა-კითხვა არ იცოდა, ვის უნდა გაეკეთებინა წარწერა?

ზოსიმემ ღმერთი ადიდა, წმიდანის გვამი ცრემლებით დაასველა, შემდეგ კი გაიფიქრა: „როგორ გავთხარო საფლავი მე ცოდვილმა, ხელთ რომ არაფერი მაქვს!“ უცებ შორიახლოს ხის ტოტი დაინახა და იმითი დაიწყო თხრა, მაგრამ მიწა მშრალი იყო, არ ემორჩილებოდა. მხცოვანი ბერი წელში გაიმართა და დაინახა, რომ წმიდანის ტერფებს უზარმაზარი ლომი ლოკავდა. შიშმა შეიპყრო, პირჯვარი გადაისახა და ღვთის ნებას და წმიდანის მეოხებას მიანდო თავი. ლომი ბერს მიეახლა, აბბა ზოსიმემ, მას საფლავის ამოთხრა უბრძანა და ლომმაც თათებით გათხარა სამარე. ადამიანმა და ცხოველმა დაფლეს წმიდა მარიამის ნეშტი, შემდეგ კი ორივე თავის გზას გაუდგა: ლომი უდაბნოში წავიდა, აბბა ზოსიმე - მონასტერში.

სავანეში მოსულმა ზოსიმემ იღუმენს და ძმებს აუწყა, რაც იხილა და მოისმინა. შიშით, რწმენით და სიყვარულით დააწესეს ბერებმა წმიდანის ხსენების დღე. ღირსმა ზოსიმემ დიდხანს იცოცხლა და ას წელს მიტანებულმა მიისვენა.

ასე გადმოგვცეს წმიდა იოანე წინამორბედის მონასტრის მოღვაწეებმა ღირსი მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება. პირველად ის წმიდა სოფრონ იერუსალიმელმა (ხს. 11 მარტს) ჩაწერა.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტ. I, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 აპრილი (დიდი მარხვის მე-5 შვიდეული) დაუჯდომელის შაბათი.
2 აპრილი, დიდი მარხვის მე-5 კვირა (წმ. ბასილი დიდის წირვა) - ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენება.
3 აპრილი (დიდი მარხვის მე-6 შვიდეული) ორშაბათი - ღირსი იაკობ ეპისკოპ., აღმსარებლის ხსენება (VIII ს.)
6 აპრილიქალაქ რუსთავში ათეულობით ხატს უშრეტად სდის სურნელოვანი მირონი – ხარების წინადღესასწაული.
7 აპრილი (პარ.) (წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით) **- ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა.**
8 აპრილი, ლაზარეს შაბათი (წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით) - ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი
- კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.
9 აპრილი, დიდი მარხვის მე-6 კვირა. ბზობა (წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით).
10 აპრილი, ვნების შვიდეულის დიდი ორშაბათი (პირველშეწირულის ლიტურგია).
11 აპრილი, ვნების შვიდეულის დიდი სამშაბათი (პირველშეწირულის ლიტურგია).
12 აპრილი, ვნების შვიდეულის დიდი ოთხშაბათი (პირველშეწირულის ლიტურგია).
13 აპრილი, ვნების შვიდეულის დიდი ხუთშაბათი. - საიდუმლო სერობის ხსენება (წმ. ბასილი დიდის წირვა).
14 აპრილი, ვნების შვიდეულის დიდი პარასკევი (წირვას არ უჩენს). - ცისკრად 12 ვნების სახარების კითხვა.
15 აპრილი, ვნების შვიდეულის დიდი შაბათი (წმ. ბასილი დიდის წირვა).
16 აპრილი (კვ.) - ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.
17 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი - საფლავთა კურთხევა.
18 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი - ივერიის ღმრთისმშობლის დღესასწაული ხატის დღესასწაული;
- 6000 დავით გარეჯელ მოწამეთა ხსენება.
21 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი - „წყარო ცხოვრებისად“ წოდებული ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული.
22 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი. (წირვის შემდეგ) **არტოსის განტეხა.**
23 აპრილი, აღდგომიდან მე-2 – თომას კვირა.
25 აპრილი (აღდგომიდან მე-2 შვიდეული), სამშაბათი. - მიცვალებულთა ხსენება
26 აპრილი (აღდგომიდან მე-2 შვიდეული), ოთხშაბათი. - სამშობლოსთვის წამებული წმ. დიმიტრის (ყიფიანი) ხსენება.
23 აპრილი, აღდგომიდამ მე-3 – მენელსაცხებლე დედათა კვირა.

* * *

1 მაისი, აღდგომიდან მე-3 შვიდეული. ორშაბათი: - ღირსი ბასილი რატიშვილის ხსენება (XIII).
4 მაისი (ხუთშ.) - მღვდელმოწამე ექვთიმეს, გაენათელი მიტროპოლიტის ხსენება (1822).
6 მაისი (შაბ.)- წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგის ხსენება (303).
7 მაისი, აღდგომიდან მე-4, განრღვეულის კვირა.
8 მაისი, აღდგომიდან მე-4 შვიდეული. ორშაბათი - წმ. მოციქულისა და მახარებლის მარკოზის ხსენება.
10 მაისი (ოთხშ.) - ერგასის განზოგება.
12 მაისი (პარ.) - წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება.
13 მაისი (შაბ.) - მოციქულ იაკობ ზებედეს ხსენება (44); - წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვის ხსენება (1867).
14 მაისი, აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა. - კეთილმორწმუნე მეფის თამარის ხსენება (1213).
15 მაისი, აღდგომიდან მე-5 შვიდეული. ორშაბათი. - წმ. ათანასე დიდის, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (373).
18 მაისი (ხუთშ.) - მოწამე საგდუხტ ქალწულის ხენება; - დიდმოწამე ირინეს ხსენება (I-II);
- დღესაწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“.
20 მაისი (შაბ.) - ხსენება სასწაულისა პატიოსნისა ჯვარისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა იერუსალიმს (351);
- ღირსი იოანე ზედაზნელისა და მისთა ათთორმეტთა მოწაფეთა ხსენება (VI).
21 მაისი, აღდგომიდან მე-6, ბრმის კვირა.- წმ. მოციქულის და მახარებლის იოანე ღმრთისმეტყველის ხსენება.
22 მაისი, აღდგომიდან მე-6 შვიდეული. ორშაბათი: - აღმოყვანება ნაწილთა წმ. ნიკოლოზ
საკვირველთმოქმედისა მირონ-ლუკიიდან ბარში (1087წ.).
23 მაისი (სამშ.) - მოციქულ სვიმეონ მოშურნის ხსენება.
24 მაისი (ოთხშ.) - აღდგომის დღესასწაულის წარგზავნა. ამაღლების წინადღესასწაული.
- ნეტარ ქრისტესიას, ქრისტეფორედ წოდებულის ხსენება (1771წ.);
25 მაისი (ხუთშ.) - ამაღლება.
26 მაისი (პარ.) - ამაღლების შემდგომი დღესასწაული. - ღირ. ექვთიმე ათონელის ხსენება (1028წ.);
28 მაისი, აღდგომიდან მე-7, I მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა.
- მოც. სწორთა – მეფე მირიანის და დედოფალ ნანას ხსენება.
- ღირ. პიროს ბრეთელის ხსენება (VIს.);
- ღირ. პახუმი დიდის ხსენება (დაახლ. 348წ.
31 მაისი (სამშ.) - ღირსი დოდო გარეჯელის ხსენება (VI). - შვიდი მსოფლიო კრების წმ. მამათა ხსენება.

ჩვენი ეპარქია

„ზოგიერთი ლიტურგიკული საკითხის განმარტებისათვის“

„ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან, ...“ (ტიტე 1, 16)

მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება ერთობ მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია. თითოეული მღვდელმოქმედება, ლოცვა თუ საგალობელი განსაკუთრებული შინაარსის მატარებელია, რის გამოც ზუსტად უნდა იქნას დაცული საეკლესიო განჩინებები, რათა მოციქულის შეგონებისამებრ: „ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ“ (I კორ. 14, 40).

ამ მხრივ განმარტებას არაერთი საღვთისმსახურო საკითხი საჭიროებს, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო გადაცდომები და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მათ შესახებ.

აურაცხელი კითხვებიდან, ქვემოთ, მოკლედ მიმოვიხილავთ ზოგიერთ მათგანს, რაც ხშირად ბჭობის და არასწორი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. ასე მაგალითად:

- რა განმარტება აქვს ექვსფსალმუნების კითხვას ცისკრის ჟამნზე?

- ცისკრის ჟამნის მსახურება ახალი აღთქმის ისტორიას ეხმიანება. იგი იწყება „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ – 3-გზის და „უფალო ბაგენი ჩემნი აღახვენ...„– 2-გზის გალობით. აღნიშნულ საგალობელთა აღსრულება საღმრთო ისტორიის იმ პერიოდს ეთანადება, რომელიც მაცხოვრის განკაცებასთანაა კავშირში. ეს სიტყვები მაცხოვრის შობისას ანგელოზთა გალობას გვახსენებს.

ხსენებულ საგალობელთა გალობა 3-გზის და 2-გზის წმინდა სამებასა და მაცხოვრის ორ ბუნებას უკავშირდება.

ზემოხსენებულ საგალობელთა შემდგომ „ექვსფსალმუნება“ აღესრულება.

„ექვსფსალმუნების“ კითხვა მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების იმ პერიოდს უკავშირდება, რომელიც შობიდან ნათლისღებამდე ინტერვალს მოიცავს და ცოდვით დაცემული კაცობრიობის სულიერ მდგომარეობაზე მიანიშნებს.

მედავითნის მიერ „ექვსფსალმუნება“ შუა ტაძარში იკითხება, ხოლო „ექვსფსალმუნების“ მეორე ნაწილის კითხვისას მღვდელი გამოდის ამბიონზე და საიდუმლოდ კითხულობს თორმეტ ლოცვას კონდაკიდან. აღნიშნული ქმედებებით აქცენტი წმიდა იოანე ნათლისმცემლის მოღვაწეობასა და საღმრთო ისტორიის იმ პერიოდს უკავშირდება, როცა მაცხოვარს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული საზოგადო საქმე (რაც მის სამნახევარწლიან მოღვაწეობის პერიოდს ეხება).

- მღვდელს,რომელიც არ არის მწირველი, შეუძლია თუ არა ტაძარში მრევლი აზიაროს?

- მღვდელს, რომელიც არ მსახურობს წირვაზე, არ შეუძლია წმიდა ზიარება მიაღებინოს მაზიარებლებს, გარდა განსაკუთრებული დაჭირვებისა და ისიც სათანადო მომზადების შემდეგ .

- შეიძლება თუ არა, დიდ ხუთშაბათს, ავადმყოფთა საზიარებლად დამზადებული წმინდა ნაწილებით ვაზიაროთ მრევლი?

- თუ მიზეზთა გამო ტაძარში მოსალოდნელზე გაცილებით მეტი ადამიანი მოვიდა და მაზიარებელთათვის ბარძიმში არ დარჩა წმიდა ნაწილები, როგორც გამონაკლისი, შესაძლებელია, დიდ ხუთშაბათს, ავადმყოფთა საზიარებლად დამზადებული წმინდა ნაწილები ჩავუშვათ ბარძიმში და იმით ვაზიაროთ დარჩენილი მრევლი.

ამასთან, არ არის მართებული ტაძარში მოსული ადამიანი ავადმყოფთა საზიარებელი მცირე ბარძიმიდან (დიდ ხუთშაბათს) ავადმყოფთა საზიარებლად დამზადებული წმიდა ნაწილებით ვაზიაროთ, მით უმეტეს, თუ მას საშუალება ჰქონდა საერთო ბარძიმით ზიარებისა, და მისივე უდებების გამო ეს ვერ მოახერხა („ცოტა ხნით“ გარეთ გავიდა, დააგვიანა წირვაზე მოსვლა და მრავალი სხვა...).

- ქორწინების საიდუმლოს ჩამოლოცვისას რატომ მოიხსენიება წმ.დიდმოწამე პროკოფი?

- წმიდა დიდმოწამე პროკოფი (ნათლისღებამდე - ნეანი) იერუსალიმში დაიბადა III საუკუნეში. საერო განათლების მიღების შემდეგ იგი იმპერატორ დიოკლეტიანეს წარუდგინეს, რომელმაც იგი თავისი ლაშქრის ერთ-ერთი ნაწილის მხედართუფროსად განაწესა.როცა 303 წელს ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო, უსჯულო დიოკლეტიანემ პროკოფი (ნეანი) ალექსანდრიაში წარგზავნა ქრისტიანების დასასჯელად. გზაზე მან ცაზე გამოსახული ჯვრის ნიში იხილა და ხმაც მოესმა, რომელმაც აუწყა: „მე ჯვარცმული იესო ვარ, ძე ღვთისა“. ამ სასწაულებრივი გამოცხადების შემდეგ პროკოფი (ნეანი) ქრისტეს სასტიკი მდევნელიდან მის მხურვალე მიმდევრად იქცა.

ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევის გამო პროკოფი საპყრობილეში ჩააგდეს და მრავალგზის ტანჯეს. ნეტარის რწმენის სიმტკიცემ ბევრს შეაცნობინა ჭეშმარიტება: ქრისტიანობაზე მოექცნენ საპყრობილის მცველები, მეომრები ანტიოქოსისა და ნიკოსტრატეს მეთაურობით. მარტვილის გვირგვინით შეიმკო თავი ოცმა ქრისტიანმა ქალმა. სულ ბოლოს პროკოფის წარმართმა დედამაც ირწმუნა ქრისტე და სისხლით ჩამოიბანა თავისი შეცოდებები.

ამგვარად, დიდმოწამე პროკოფის მიერ განსწავლული, მოწამეობრივად აღსრულებული მეომრებისა და ქრისტიანი ქალების ცხოვრება ერთგვარი მინიშნებაა ქორწინების საიდუმლოთი შეერთებული ცოლ-ქმრისათვის. მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ინარჩუნებდნენ ისინი უბიწოებასა და უმანკოებას, ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშებას, და ამასთან, სიხარულით ეგებებოდნენ სასიკვდილო განსაცდელსაც კი იესო ქრისტესთვის, რათა ყოვლადმოწყალე უფალმა გვირგვინებით შეამკოს და მარადიული ნეტარი ცხოვრება დაუმკვიდროს მათ.

სწორედ ზემომოხმობილი გახლავთ მიზეზი იმისა, თუ რატომ მოიხსენიება ქორწინების საიდუმლოს ჩამოლოცვისას წმ. დიდმოწამე პროკოფი.

- რატომ არ იკითხება ღმრთისმსახურებისას აპოკალიფსის საკითხავები?

- საეკლესიო ტიპიკონის მოთხოვნათა შესაბამისად, ღამისთევის ლოცვაზე ხუთი პურის კურთხევის შემდეგ, ნაკურთხი პური და ღვინო ტაძარში მყოფ მომლოცველებს უნდა დაურიგდეთ, რათა ღამისთევის ლოცვის ხანგრძლივობის გამო ფიზიკურად მომაგრდნენ (აღნიშნული არ ეხება ზაფხულის პერიოდს). ამ დროს ისინი უნდა დასხდნენ, რის დროსაც მათ სულიერი დარიგების, დამოძღვრის სიტყვის სახით სწორედ აპოკალიფსიდან ამონარიდები ეკითხებათ.

სამწუხაროდ, დღევანდელ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, ტიპიკონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა დავიწყებასაა მიცემული და არ სრულდება.

- რას ნიშნავს სიტყვა „არაჯვორი“?

- არაჯვორი – სომეხ იაკობიტთა მარხვაა, რომელიც დიდმარხვას უძღვის წინ. ეს სიტყვა სომხური წარმოშობისაა და არაჩავორკიდან არის ნაწარმოები.

საღვთისმსახურო წიგნ ტრიოდიონ მარხვანში, უძღები შვილის შვიდეულთან დაკავშირებით, ვკითხულობთ: „ჰშვენის უწყებად, რამეთუ შვიდეულსა ამას იმარხვენ სამგზის შეჩუენებულნი სომეხნი საძაგელსა მას მარხუასა მათსა, რომელსა უწოდებენ არცივურიად. ხოლო ჩუენ (მონაზონნი) თვითეულთა ამათ დღეთა (ოთხშაბათსა და პარასკევსა) ვიხმევთ ყუელსა და კუერცხსა (მე-9 ჟამ-სა),ხოლო ერისკაცნი იხმევენ ხორცსა და შეურაცხვჰყოფთ მათსა მას მწუალებლობასა“.

შენიშვნა: მეზვერისა და ფარისევლის კვირის შემდგომი შვიდეული უძღები შვილის შვიდეულად იწოდება, რომელიც უძღები შვილის კვირით სრულდება. საეკლესიო განჩინებით ხსენებული შვიდეული ხსნილია, რაც სახარებისეულ უძღები შვილის იგავს ეფუძნება.

სიტყვა - „არცივურია“, „არაჩავორკ“, „არაჯვორი“ (арцивурия - арачаворк) სომხური წარმოშობისაა და თარგმანებით ნიშნავს – წინმსწრებს (предшествующий, предворяющий). ამდენად,„არცივურია ‘იგივე „არაჯვორი“ დიდი მარხვის წინმსწრებ მარხვას გულისხმობს.

არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული მარხვა სომხურ ეკლესიაში, თავდაპირველად, კათაკმეველთათვის იყო განწესებული.

მეტი სიცხადისათვის წმიდა ექვთიმე ათონელის მცირე სჯულის კანონიდან ამონარიდს მოვუხმობთ: „ყოველი მორწმუნე ვალდებულია მარხვას იცავდეს მოციქულთა და მამათა განგებისამებრ და კრძალულებით და სიწმიდით ასრულებდეს მარხვის დღეებს, რათა ღირსებით მიაღწიოს ყოველმა კაცმა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, დიდებულ ვნებასა და წმიდა აღდგომას, როგორც განწესებული არის წმიდა მოციქულთაგან და ღმერთშემოსილთა მამათაგან.

გაუწყებთ: არ შეიძლება დიდმარხვაში რვაშვიდეულიანი მარხვის დაცვა, როგორც ამას არიანელები აკეთებენ, რომლებიც უფლის მიერ განწესებულ და მოციქულთა მიერ ქადაგებულ 40 დღეს კიდევ ერთ შვიდეულს უმატებენ, რადგან ყველიერის შვიდეულსაც მარხვის კვირად თვლიან, რაც უწესობაა და ეწინააღმდეგება მოციქულთა და მამათა განგებებს.

არც არაჯვორის შვიდეულის მარხულობა შეიძლება, რომელსაც იაკობიტი მწვალებლები მარხულობენ, რადგან წმიდა მოციქულებმა უფლის ბრძანებით ასე განაწესეს, რომ 40 დღე არის მარხვა. 40 დღე სრულდება ბზობის პარასკევს. მას მოჰყვება ვნების კვირა, რომელსაც უფლის ვნების გამო ვმარხულობთ.

და იმ 40 დღითა და ვნების შვიდეულით სრულდება 7 შვიდეული დიდმარხვისა. თუმცა ყველიერის შვიდეულში ხდება ხორცის აღება, რადგანაც მარხვაში შესასვლელად ვემზადებით, მაგრამ ეს შვიდეული მარხვის შვიდეულებში არ ითვლება~.

-სად შეიძლება ამოვიკითხოთ ფერისცვალებამდე ყურძნის ან სხვა ხილის მიღებისაგან თავის შეკავების თაობაზე?

- საღმრთისმსახურო წიგნ „სადღესასწაულოში“ ვკითხულობთ: „ხოლო უკეთუ ძმათაგანი იყოფოდეს მჭამელ ყურძნისა, პირველ დღესასწაულ ამის, იგი უსმენელობისათვის ყუედრებასა მიიღებს, და ნუ სჭამს ვიდრემდის არა სრულ იქმნეს თთუეი აგვისტოი, მით რამეთუ უწყებულ ვართ ტიბიკონისა მიერ არა მიღებად, და რათა ამიერითგან ვისწაოთ სხუათაცა მორჩილ-ყოფაი ტიპიკონსა წმიდათა მამათასა“. ასევე, იქვე, შემდეგ მითითებასაც ამოვიკითხავთ: ესე უკუეი ტიბიკონი იქმნების ლეღუსაცა ზედა და სხუათა, ყოველთა ხილთა ზოგად, ვითარ იგი ცხადჰყოფს ჟამი მათი, რომელი ოდესცა მოიწიოს. ... „ხოლო ვიტყვით ამას, თვინიერ მოხმულთა მათ და განყოფილთა ლელუთა მცუეილთა მიერ, რამეთუ იგინი დაუყენებლად იჭამებიან.

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის
ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა გუნია

გამოსათხოვარი

†

უფალო, გმადლობ, თმენისთვის გმადლობ,
დღემდე რომ ხვდები ნამდვილს და მართალს,
აქ გრანელია ძმასავით ახლოს,
იქ იაშვილი დამხვდება, ალბათ.
ბევრი გაექცა დროსა და სახელს,
ბევრი - პარნასის ვარდისფერ ხანძარს,
დაიმახსოვრე ეგ ჩემი სახე,
მალე მტრედივით მოგივალ ტაძრად.

გენო კალანდია

დიახ, მიეახლა უფლის ტაძარს მტრედივით, მიეახლა ვალმოხდილი, რამეთუ გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ბოლო აკორდი დაუსვა თავის შემოქმედებას - „საგალობლები უფლისათვის“ - ეს არის კრებული, რომლითაც იგი გამოეთხოვა ამ ხანმოკლე წუთისოფელს და მარადისობაში გადაინაცვლა.

წავიდა ჩვენგან გენო კალანდია, მუდამ ბობოქარი, დაუდგრომელი, სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეურიგებელი. წავიდა და დატოვა უზომო სევდა და სიცარიელე.

ჩვენი ბოლო საქმიანი შეხვედრა რამდენიმე თვის წინ საქალაქო დათვალიერება-კონკურსის „ვეფხისტყაოსანს“ ფარგლებში შედგა, როდესაც ბატონი გენო, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში იყო. მას ძალიან უხაროდა, რომ ჩვენი ახალგაზრდები დიდი სიყვარულით კითხულობდნენ ნაწყვეტებს გენიალური ქმნილებიდან და აღფრთოვანებულმა ერთ-ერთ მონაწილეს საკუთარი წიგნიც უსახსოვრა.

უფალმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი ღირსეულ მამულიშვილს, კაცს, რომელმაც მთელი ცხოვრება ქვეყნის მსახურებას შეალია. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი

სიკეთისა და სიყვარულის ალმოსაფენად

გაზაფხული შემოხულა...

ISSN 2298-0865

9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი